სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272 401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია

(Modern and Contemporary History of Georgia)

მიმართულება/სპეციალობა: ისტორია

ფართო სფერო: 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

ვიწრო სფერო: 022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე) Humanities (except languages)

დეტალური სფერო: 0222 ისტორია და არქეოლოგია History and Archaeology

0222.2.1 საქართველოს ისტორია History of Georgia

პროგრამის ხელმძღვანელი:

თენგიზ სიმაშვილი - ისტორიის დოქტორი, პროფესორი

1. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
   ოქმი #25 07.12.22

   ფაკულტეტის დეკანი: /შ. ლაზვიაშვილი/

2. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ

ოქმი №18 08.12.22
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი: / შ. ჭკადუა/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
4. ოქმი № 30 08.12.22

უნივერსიტეტის რექტორი: /ი.შიოშვილი/

თელავი

2022

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

დეპარტამენტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია (Georgian New and The Newest History)

პროგრამის ანალოგ(ებ)ი:

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსი, ამ სფეროს განვითარების ტენდენციები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკა (აშშ-სა და ევროპის უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების გამოცდილება):

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი https://www.tsu.ge/ka/programs/144
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/programebi-303/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-samagistro-programebi/tanamedrove-saqartvelos-istoria
- საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტიhttps://sangu.edu.ge/geo/program/saqartvelosistoria
- საქართველოს უნივერსიტეტი https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=160
- გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი https://www.gu.edu.ge/ge/samagistro-programebis/humanitaruli-fakulteti/saqartvelos-istoria
- University of San Diego https://history.ucsd.edu/graduate/masters.html#Europe
- University of Kentucky; http://history.as.uky.edu/history-ma-program
- Univeristy at Albany; (SUNY); http://www.albany.edu/graduatebulletin/history_graduate_program_curricula.htm)

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:
თენგიზ სიმაშვილი _ ისტორიის დოქტორი, პროფესორი (იხილე CV უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე)
საკონტაქტო ინფორმაცია: tengiz.simashvili@tesau.deu.ge ტელ: 597 05 15 51 (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტი) 27 32 66 (დეკანატი)

- **აკადემიური განათლების საფეხური:** *მაგისტრატურა (II საფეხური)*
- **პროგრამის ტიპი:** აკადემიური
- **სწავლების ენა:** ქართული
- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საქართველოს ისტორიის მაგისტრი (Master in History of Georgia)
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით**: 120 ECTS კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- **სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება შეუძლია არანაკლებ ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული გამოცდის (მინიმალური ზღვარი - 51 ქულა) და უცხო ენა B2 დონეზე გამოცდის (მინიმალური ზღვარი - 51 ქულა) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

  უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება შემდეგი სერთიფიკატების მქონე პირები:

ინგლისური ენა:

- TOEFL Essentials overall band score (1-12)
- TOEFL Essentials overall band score (1-12): B2 8-9.5 (8 ქვედა ზღვარი)
- TOEFL IBT TOTAL score (0-120): B2 72-94 (72 ქვედა ზღვარი)
- IELTS Score 5.0-6.0 (5.0 ქვედა ზღვარი)
- FCE 160-172 (160 ქვედა ზღვარი)

გერმანული ენა:

- Goethe-Zertifikat B2
- OSD B2 -საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდა გერმანულ ენაში (ილიას უნივერსიტეტის ავსტრიული კულტურის ცენტრი).
- DSD (Deutsches Sprachdiplom) B2

რუსული ენა:

- ТРКИ(TORFL)- 2 (Русский язык. Второй сертификационный уровень) - B2 დონე.
- ТРКИ-2 (Тест русского языка как иностранного) შეესაბამება B2 დონეს.
- (აღნიშნული სერთიფიკატის არსებობის შემთხვევაში მაგისტრანტი გამოცდას აღარ აბარებს) *(საგამოცდო პროგრამა იხილეთ დანართი 7).*

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

ინფორმაცია ჯგუფში სტუდენტთა დასაშვები რაოდენობის შესახებ

ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა - 15

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის

პროგრამის მიზანია შრომის ბაზრისათვის მაღალკვალიფიცირებული კადრის მომზადება, რომელსაც ექნება საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში ღრმა და სისტემური ცოდნა, შესაბამისი უნარები, კონკურენტუნარიანი იქნება დასაქმების ბაზარზე.

აგრეთვე პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეძლონ:

1. კვლევის მეთოდების გამოყენებით საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხების კრიტიკული ანალიზი;
2. განსაზღვრონ ახალი და უახლესი ისტორიის მიმდინარე პროცესების ზეგავლენა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემურ საკითხებზე და ჩამოაყალიბონ დასაბუთებული დასკვნები;
3. პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით განახორციელონ კვლევები, დასახონ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემური საკითხების გადაჭრის ახალი, ორიგინალური გზები და ჩამოაყალიბონ არგუმენტირებული დასკვნები.

სწავლის შედეგი: საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

1. **ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებული:

1.1 ავლენს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში მომხდარი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სიღრმისეულ ცოდნას, ახდენს მათ ინტერპრეტაციასა და ანალიზს, გამოკვეთს მათ გავლენას თანამედროვეობაზე სხვადასხვა კონტექსტში სფეროს ტრადიციული მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით;

1.2 ახასიათებს და კრიტიკულად აფასებს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესახებ არსებული სამეცნიერო მიდგომებისა და თეორიების ჩამოყალიბება/განვითარების ძირითად ეტაპებს, თავისებურებასა და დინამიკას;

1.3 აცნობიერებს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის არაერთგვაროვანი გადმოცემის მიდგომებს, ისტორიის ფალსიფიკაციისა და იდეოლოგიური გავლენის ფაქტებს.

2. **უნარი**

კურსდამთავრებული:

2.1 საარქივო/საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენებით დამოუკიდებლად მოიძიებს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სხვადასხვა ისტორიულ (მათ შორის, ნაკლებადშესწავლილ/ახლადაღმოჩენილ) წყაროებში მოცემულ ინფორმაციას, ახდენს მათ სისტემატიზაციას და აყალიბებს საკუთარ დასკვნებს;

2.2 გეგმავს და ახორციელებს კვლევას საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში დარგის შესაბამისი მეთოდებისა და დადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით;

2.3 წარმოადგენს კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით, როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე;

2.4 პროფესიული საქმიანობის დროს ახდენს მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

3. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

1.1 საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სენსიტიური და წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვისას ეყრდნობა პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს;

1.2 გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, ახდენს ადაპტირებას მულტიდისციპლინურ სასწავლო თუ სამუშაო გარემოში, ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას;

1.3 საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის აქტუალური ინფორმაციის სინთეზირებითა და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით, წერს სამეცნიერო ნაშრომს და შეაქვს წვლილი დარგში არსებული ცოდნის განვითარებაში.

სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები: სტუდენტების სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები. სტუდენტები თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნის ეუფლებიან ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, დამოუკიდებელი სამუშაოების განხორციელებით. სტუდენტებთან ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციებითა, on line სწავლებით და სხვა.

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ სემინარი ☒ პრაქტიკული მუშაობა

☒ სამაგისტრო ნაშრომი ☒ საშინაო დავალება/რეფერატი

☐ ესე ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☒ სხვა

თეორიული კურსი (ლექცია) ორიენტირებულია ძირითადად შესასწავლი მასალის ძირითად ცნებებზე და დებულებებზე. შესასწავლი მეთოდები დაკავშირებულია შესაბამისი სპეციალიზაციების კონკრეტულ თემატიკებთან. აქტიურად ხდება სადემონსტრაციო საშუალებების გამოყენება და სტუდენტების ჩართვა დისკუსიებში. სწავლებისას ფართოდ გამოიყენება ინტერაქტიული მეთოდი.

სემინარის დანიშნულებაა სტუდენტს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი და მის მიერ მომზადებულითემების გაღრმავების საშუალება.

დამოუკიდებელ სამუშაოების შესრულებით სტუდენტი ამოწმებს მასალის ათვისების ხარისხს.

კონსულტაციები კონსულტაციების მიზანია სწვლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრა, მაგალითად ობიექტური მიზეზების გამო სილაბუსის გრაფიკიდან ჩამორჩენა, მიცემული თეორიული მასალის არასათანადოდ გაცნობიერება, შეუსრულებელი დავალებების აღდგენა და სხვა; კონსულტაციები შეიძლება განხორციელდეს დისტანციურადაც და on line რეჟიმშიც

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა
მეთოდები/ფორმები და აქტივობები:

❖ **ლექცია** - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

❖ **სემინარი** – სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის ან სემინარის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. სემინარზე მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სემინარის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

❖ **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

❖ **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატს ან/და პრეზენტაციას, სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.

❖ **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს:

ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

❖ **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

❖ **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

❖ **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

❖ **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

❖ **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

❖ **ინდუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

❖ **დედუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

❖ **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

❖ **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას.ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

❖ **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

❖ **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

❖ **ელექტრონული სწავლება** (E-learning) – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის: **დასწრებული,** როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. **ჰიბრიდული** (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში. **მთლიანად დისტანციური** სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს. დისტანციური სწავლებისთვის გამოიყენება Moodle, Google Classroom და Google Hangout (Meet) პლატფორმები. გამოიყენება სინქრონული და/ან ასინქრონული სწავლების კომუნიკაციის ფორმა. სასწავლო კურსის მასალის გადასაცემად შერჩეულ იქნება რელევანტური ელექტრონული ტექნოლოგიური ინსტრუმენტები (აუდიო-ვიდეო მასალები, Power Point ლექციები, და სხვ.).

და სხვა.

- **დასაქმების სფერო:** ისტორიის მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე, დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო 1 , პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, კერძო სექტორში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ.

- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

თელავის სახელმწიფო უნივერსტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური

ბაზით. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში არსებობს სათანადო მატერიალური რესურსი, ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა. ეს ყოველივე სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიეწოდოთ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია. სალექციო აუდიტორიებში შექმნილია სწავლისთვის ადექვატური გარემო. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აუდიტორიები და უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ბიბლიოთეკის ფონდი; პროფესორ-მასწავლებელთა კვლევის შედეგები (სტატიები, მონოგრაფიები), სახელმძღვანელოები, სალექციო კურსები, რიდერები.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს წიგნსაცავი, სააბონენტო და სამკითხველო დარბაზი, საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი, კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი-სკანერი-ქსეროქსი, სააქტო და საპრეზენტაციო დარბაზები, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული), რომელიც სისტემატურად მდიდრდება უნივერსიტეტის მიერ შეძენილი ახალი წიგნებით. ბიბლიოთეკა ჩართულია სხვადასხვა ელექტრონული ბიბლიოთეკის საძიებო სისტემაში, აგრეთვე, ინტეგრირებულ ელექტრონულ კატალოგში (EVERGREEN) და გაწევრიანებულია EIFL-ის კონსორციუმში, რის შედეგადაც ჩართულია შემდეგი დარგობრივი სამეცნიერო მონაცემთა ბაზები, ასევე Elsevier-ის მონაცემთა ბაზები:

- Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core)
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/)
- SAGE Journals(https://journals.sagepub.com)
- e-Duke Journals Scholarly Collection(https://read.dukeupress.edu/)
- Openedition Journals (https://www.openedition.org/)

ბიბლიოთეკას აქვს ასევე, Elsevier-ის მონაცემთა ბაზები:

- ScienceDirect®online
- Scopus® online

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის შეფასების სისტემა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულებით (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი №3, 10.03.2017 წ.).
სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი ფორმების საშუალებით: შუალედური შეფასება და დასკვნითი/ფინალური შეფასება. მათი ჯამია საბოლოო შეფასება, რომელიც შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას.
სტუდენტის მიღწევების შეფასება ხდება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების (ECTS) სისტემით, რომლის მიხედვითაც შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დამატებით გამოცდას ნიშნავს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F.

შუალედური, დასკვნითი/ფინალური და დამატებითი გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მეშვეობით, რომელიც მუშაობს შესაბამისი დებულების მიხედვით.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით.

<u>**მითითება:**</u> ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების თითოეულ ფორმაში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი გამოცდის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან მინიმალური კომპეტენციის გათვალისწინებით.

საველე პრაქტიკაში სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დაუშვებელია სტუდენტის მიერ პრაქტიკაში მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად შეფასება. შუალედური შეფასებების კომპონენტები განისაზღვრება და ქულები გადანაწილდება ლექტორის მიერ, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. (დეტალური ინფორმაცია მოცემულია საველე პრაქტიკის სილაბუსში.)

რაც შეეხება კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა ფასდება ერთჯერადად, მისი დაცვის შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ტარდება საჯაროდ კომისიის წინაშე. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას განსაზღვრული უნდა იყოს ხელმძღვანელის, რეცენზენტებისა და კომისიის შეფასებები შესაბამისი პროპორციების დაცვით. კომიის წევრთა საშუალო შეფასების მაქსიმალური ქულაა -60, ხოლო ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მაქსიმალური ქულა-40.

<u>მითითება:</u> ყველა სილაბუსში განსაზღვრულია შუალედური შეფასებების (არაუმეტეს 60%-ისა) და დასკვნითი გამოცდის შეფასების (არაუმეტეს 60%-ისა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თითოეულ საგანში სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან მინიმალური კომპეტენციის გათვალისწინებით. სტუდენტს, რომელსაც დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულას მიიღებს, უფორმდება შეფასება F-0.

- **სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** სამაგისტრო პროგრამით გათვალიწინებული 120 კრედიტი გადანაწილებულია 2 აკადემიური წლის 4 სემესტრზე, აქედან: 80 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, 10 კრედიტი პრაქტიკას, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და საჯარო დაცვას. პროგრამა შედგება ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან.

- **სამეცნიერო კვლევის ელემენტები:** პროგრამაში კვლევით კომპონენტს დათმობილი 30 კრედიტი(სამაგისტრო ნაშრომი). აღნიშნული კომპონენტის მიზანია მაგისტრანტმა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის დარგში უახლესი მიღწევების გათვალისწინებით და შეძენილი დარგობრივი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებით: სისტემური სახით წარმოადგინოს პროგრამაზე სწავლის მანძილზე მიღებული თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ღირებულებები; შეიძინოს სამაგისტრო დონის შესაბამისი კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, შეძლოს პრობლემის დასმა, მისი განხორციელების გზებისა და სტრატეგიების შერჩევა და დასახული პრობლემის კომპლექსურად, ზუსტად, ეფექტურად და პროფესიულ დონეზე გადაჭრა;
  მოახდინოს მიღებული შედეგების მაღალ აკადემიურ დონეზე, აკადემიური სტანდარტებისა და პატიოსნების პრინციპების გათლისწინებით, წერილობით

მომზადება და პროფესიონალების წინაშე ზეპირად გადმოცემა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

საორიენტაციო კვლევის თემატიკა

1. კახეთის სოციალ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა XVIII, XIX საუკუნეებში
2. კახეთი XX საუკუნის დასაწყისში - 1905-1907 წლების რევოლუციის მიმდინარეობა, მონაწილეები, ისტორია, შედეგები
3. პოლიტიკური პარტიები კახეთში XX საუკუნის დასაწყისში
4. ხელოსნობა კახეთის ქალაქებში XVIII, XIX საუკუნეებში
5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და კახეთში შემავალი მაზრები
6. კახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ერობები
7. კახეთის სოციალ-ეკონომიკური ვითარება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. მრეწველობა, ხელოსნობა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა
8. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები კახეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში: მენშევიკები, ბოლშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სხვები.
9. თელავის მაზრა XX საუკუნის 20-იან წლებში
10. ხელოსნობა კახეთის ქალაქებში საბჭოთა პერიოდში
11. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა - ,,ნეპი“ - ვაჭრობა და ხელოსნობა კახეთის ქალაქებში
12. ანტირელიგიური კამპანიები საბჭოთა პერიოდში და მისი შედეგები
13. არაპირდაპირი რეპრესიები (ხმის უფლების წართმევა, განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის აღკვეთა და სხვა) კახეთში და მისი შედეგები
14. საბჭოთა რეპრესიები კახეთის რაიონებში და მათი შედეგები
15. 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის შეჭრა კახეთში
16. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კახეთში 1920-იან წლებში
17. 1937-1938 წლების ,,წითელი ტერორი“ კახეთში
18. კახეთი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში - ხელოსნობა, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა
19. ანტისაბჭოთა მოძრაობა კახეთში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში
20. ეთნიკური უმცირესობები კახეთში (იეზიდები, აზერბაიჯანელები, ლეკები, უდიები და სხვები)
21. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის გამომწვევი მიზეზები და შედეგები;

22. ქართული დისიდენტური მოძრაობის თვითგამოცემები, ხასიათი და მნიშვნელობა;
23. 1978 წლის აპრილში თბილისში განვითარებული მოვლენები
24. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინება 1987-1988 წლებში
25. 1989 წლის ტრაგიკული მოვლენები საქართველოში
26. 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში და კახეთის რაიონები
27. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (დე-ფაქტო, დე-იურე) და ეროვნული ხელისუფლების განდევნა საქართველოდან - შესაბამისი პერიოდის კახეთის რაიონების პოლიტიკური და საზოგადოებრივი მდგომარეობა
28. საქართველოს ეროვნული ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში
29. 1991 წლის 18-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩის გამოძახილი საქართველოში
30. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული მოვლენები თბილისში და საქართველოში მიმდინარე პარალელური პროცესები
31. 1992-1993 წლების აფხაზეთის ომი და კახეთის რაიონების წარმომადგენლები ომის მიმდინარეობის პროცესში
32. აფხაზეთის და სამაჩაბლოს ტერიტორიებიდან კახეთის სხვადასხვა რაიონებში ჩასახლებული დევნილები და მათი მდგომარეობა 1990-იან წლებში
33. კახეთი 1990-იან წლებში - პოლიტიკა, საზოგადოება, ეკონომიკა, კულტურა
34. პოლიტიკური პარტიები კახეთში და მათი საქმიანობა 1990-იან წლებში
35. არჩევნები კახეთის რაიონებში 1990-იან წლებში
36. კახეთი XXI საუკუნის დასაწყისში
37. კახეთის ქალაქები - პოლიტიკური პროცესები და საზოგადოებრივი ვითარება XXI საუკუნის დასაწყისში
38. საქართველო-თურქეთის ურთიერთობა 1918-1921 წლებში
39. I მსოფლიო ომი - საქართველო და თურქეთის სახელმწიფო
40. I მსოფლიო ომი - საქართველო და კავკასია

მისაღები გამოცდის პროგრამა

ისტორია

1.	რუსეთთან აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების მანიფესტი. ბაგრატიონებისა და მათი დასის ბრძოლა ქართლ-კახეთის შენარჩუნებისათვის 1801-1802 წლებში;

2.	რუსეთის ექსპანსიის გაფართოება. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის პროტექტორატის ქვეშ. ქართლის მთიანეთის 1804 წლის აჯანყება;
3.	სოლომონ მეორის ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის 1805-1812 წლებში;
4.	კახეთის 1812-1813 წლების აჯანყება. ალექსანდრე ბაგრატიონი, დავით ბატონიშვილის მცდელობები საქართველოს სამეფოს აღდგენის შესახებ;
5.	საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. დასავლეთ საქართველოს 1819-1820 წლების აჯანყება;
6	რუსეთის ომი ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ 1826-1829 წლებში და საქართველო;
7.	1832 წლის შეთქმულების მცდელობა და შედეგები;
8.	რუსული მმართველობის ევოლუცია და 1840 წლის ადმინისტრაციული რეფორმა;
9.	ყირიმის ომი და საქართველო;
10.	ბატონყმობის გაუქმება საქართველოში. სასამართლო და საქალაქო რეფორმები;
11.	სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავება სოფელში. გლეხთა ანტიბატონყმური აჯანყებები. ეროვნული მოძრაობა XIX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯანზე საგლეხო რეფორმა. სასამართლო და საქალაქო რეფორმები.
12.	კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ (1864-1900 წწ.);
13.	ბატონყმობის ნაშთები და გლეხთა მოძრაობა XIX საუკუნის 70-იან წლებში.
14.	რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და საქართველო;
15.	თერგდალეულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური მიმდინარეობანი;
16.	ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში XIXს-ის 70-80-იან წლებში;
17.	XIX ს-ის 80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრივი ძალები;

18.	რევოლუციურ-პატრიოტული ორგანიზაცია ,,საქართველოს თავისუფლების ლიგა“
19.	განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისი. პოლიტიკური პარტიების შექმნა XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე;
20.	ქართული სოციალ-დემოკრატიის ევოლუცია XIX-XX საუკუნეები მიჯნაზე. დემოკრატიული ძალების გათიშვა და 1905-1907 წლების რევოლუციის მარცხი;
21.	1917 წლის თებერვლის რევოლუცია და პოლიტიკური ვითარება საქართველოში. ინტერპარტიული საბჭოს საქმიანობა. საქართველოს ამიერკავკასიის სახელმწიფოს შემადგენლობაში (1917 წ. ნოემბერი-1918 წ. მაისი);
22.	ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა;
23.	საქართველოს დროებითი პარლამენტისა და დროებითი მთავრობის საქმიანობა 1918 წლის 26 მაისიდან 1919 წლის თებერვლამდე. საქართველოს დამფუძნებელი კრება;
24.	საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო ორიენტაციის პრობლემა. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის;
25.	1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყება საქართველოში;
26.	მასობრივი რეპრესიები საქართველოში 30-იანი წლების მეორე ნახევარში;
27.	საქართველო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-1945 წწ).
28.	საქართველო XX საუკუნის მეორე ნახევარში 1950-1980-იანი წლები;
29.	ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა XX საუკუნის 80-იან წლებში.
30.	საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა

საგამოცდო საკითხების ლიტერატურა:

1.	საქართველოს ისტორია, ოთხ ტომად (უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის ბოლომდე), მეორე გამცემა. თბილისი. გამომცემლოაბა „პალიტრა“ 2012;

2.	შველიძე, დ. (2021), ,,საქართველოს უახლესი ისტორია'' (1917-2012). სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის გამომცემლობა ,,მერიდიანი'', თბილისი
3.	ჯანელიძე, ო., ,,ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან", საარი, თბილისი, 2013
4.	შველიძე, დ. (2014) ,,საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ", მერიდიანი, თბილისი
5.	შველიძე დ. 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან, გამომცემლობა „უნივერსალი",თბილისი. 2014.
6.	დამოუკიდებლობის 1028 დღე, საქართველოსა პირველი რესპუბლიკის ყოველდღიური მატიანე (1918-1921, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა , 2013.
7.	დოდო ჭუმბურიძე, ვაჟა კიკნაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, ლელა სარალიძე, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI სს. (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით) წიგნი I, გამომცემლობა „მერიდიანი",თბილისი. 2016.
8.	ჭუმბურიძე, დოდო; კიკნაძე, ვაჟა; ქოქრაშვილი, ხათუნა; სარალიძე, ლელა (2016) საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით). წიგნი II. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი"
9.	ნათმელაძე, მ. დაუშვილი, ა. (2004). საქართველოს უახლესი ისტორია. თბილისი. გამომცემლობა „მატიანე"
10.	ბენდიანიშვილი, ა. (2001). საქართველოს I რესპუბლიკა. თბილისი. გამომცემლობა „მატიანე"
11.	გურული, ვახტანგ (2021) საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918). წიგნი I. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი"
12.	გურული, ვახტანგ (2021) საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918). წიგნი II. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი"
13.	გურული, ვახტანგ (2021) საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918). წიგნი III. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი"
14.	გურული, ვახტანგ (2021) საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918). წიგნი IV. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი"
15.	ბენდიანიშვილი, ალ. (2001) საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918–1921წწ.) თბილისი.

16.	ზენდიანიშვილი, ალ. (1999) საქართველოს ისტორია 1801–1921წწ. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“

უცხო ენების - ინგლისური, გერმანული, რუსული საგამოცდო ტესტები
იხილე დანართი 6

დანართი #1

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	პროგრამის კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	სავარაუდო სემესტრი	ECTS კრედიტები	საათი		სულ
						საკონტაქტო	დამოუკიდებელი	
	სასწავლო კომპონენტი							
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი -70 კრედიტი							
	U2FLE1 U2FLE2 HUS1MNH HUS2MNH **U2FLR1** **U2FLR2**	**უცხო ენა:** ა) ინგლისური ბ) გერმანული გ) რუსული	მითითებულია სილაბუსებში	1,2	10	92	158	250
2.	HUS2MCHGRM	კვლევის მეთოდები	-	1	5	32	93	125
3.	HUS2MCHGPH	ისტორიის ფილოსოფია	-	1	5	30	95	125
4.	HUS2MCHGGNHXIX-XXC	ქართული ეროვნული ისტორიოგრაფია XIX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში	-	1	5	32	93	125

5.	HUS2MCHGGPSE1921-1991	საქართველო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში (1921-1991 წ.წ.)	-	2	5	32	93	125
6.	HUS2MCHGGDSE	საქართველო საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ	-	3	5	32	93	125
7.	HUS2MCHGSRPGBXIX-XXC	საიდუმლო პოლიცია და რევოლუციური პარტიები საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე	-	2	5	32	93	125
8.	HUS2MCHGIRCCG	ისლამური რადიკალური მიმდინარეობები კავკასიასა და საქართველოში	-	3	5	32	93	125
9.	HUS2MCHCGWCXVII-XVIIIC1640-1789	საქართველო და მსოფლიოს ქვეყნები XVII-XVIII სს.-ში (1640-1789)	-	1	5	32	93	125
10.	HUS2MCHGGWCXVIII-XXC1789-1914	საქართველო და მსოფლიოს ქვეყნები XVIII- XX სს-ში (1789-1914 წწ.)	-	2	5	32	93	125

11.	HUS2MCHGGWXX-XXIC	საქართველო და მსოფლიო XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე	-	3	5	32	93	125
12.	HUS2MCHGPP	**პროფესიული პრაქტიკა**	ძირითადი სფეროს სავალდებულო საგნების ათვისება	4	10	28	222	250
	სამეცნიერო კომპონენტი - 30 კრედიტი							
1.	HUS2MCHGMT	სამაგისტრო ნაშრომი[1]	სტუდენტი დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე თუ მას შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოთხოვნა	4	30	32	718	750
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 20 კრედიტი							

[1] სტუდენტი დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე თუ მას შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სხვა მოთხოვნა, არ აქვს ფინანსური და აკადემიური დავალიანება და აქვს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შუამდგომლობა რათა ნაშრომი დაშვებული იქნას დაცვაზე.

1.	HUS2MCHGFWWG	პირველი მსოფლიო ომი და საქართველო	-	-	5	46	79	125
2.	HUS2MCHGFRG1FRG1918-1921FRG1918-1921	საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წ.წ.)	-	-	5	32	93	125
3.	HUS2MCHGNLMSPPG1921-1991	ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები საქართველოში 1921-1991 წ. წ.	-	-	5	32	93	125
4.	HUS2MCHGSPPGXX-XXIC	საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები საქართველოში XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში (1991-2003 წლები)			5	32	93	125
5.	HUS2MCHGAWHXX-XXIC	XX-XXI საუკუნეების მსოფლიო ისტორიის აქტუალური საკითხები	-	-	5	46	79	125
6.	HUS2MCHG	აშშ-ის საგარეო პოლიტიკა და საქართველო	-	-	5	32	93	125
7.	HUS2MCHGHT	ტერორიზმის ისტორია	-	-	5	32	93	125

8.	HUS2MCHGNL MCHDXVIII-XIXC	ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩეჩნეთსა და დაღესტანში XVIII-XIX საუკუნეებში	-	-	5	32	93	125

სწავლის შედეგების რუქა:

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტის სასწავლო კურსების დასახელება	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8	შედეგი 11	შედეგი 12	შედეგი 13
	1.1	1.2	1.3	2.1	2.2	2.3	2.4	3.1	3.2	3.3
კვლევის მეთოდები	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
ისტორიის ფილოსოფია	x	x	x	x	x	x	x	-	-	-
ქართული ეროვნული ისტორიოგრაფია XIX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
საქართველო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში (1921-1991 წ.წ.)	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
საქართველო საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

საიდუმლო პოლიცია და რევოლუციური პარტიები საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
ისლამური რადიკალური მიმდინარეობები კავკასიასა და საქართველოში	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
საქართველო და მსოფლიოს ქვეყნები XVII-XVIII სს.-ში (1640-1789)	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
საქართველო და მსოფლიოს ქვეყნები XVIII-XX სს-ში (1789-1914 წწ.)	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
საქართველო და მსოფლიო XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

სამაგისტრო ნაშრომი	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
პროფესიული პრაქტიკა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

სწავლის შედეგების შეფასების რუკა

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტის სასწავლო კურსების დასახელება	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8	შედეგი 11	შედეგი 12	შედეგი 13
	1.1	1.2	1.3	2.1	2.2	2.3	2.4	3.1	3.2	3.3
კვლევის მეთოდები	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
ისტორიის ფილოსოფია	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
ქართული ეროვნული ისტორიოგრაფია XIX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
საქართველო საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში (1921-1991 წ.წ.)	2	2	2	2	2	2	2	2	2	2

საქართველო საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
ისლამური რადიკალური მიმდინარეობები კავკასიასა და საქართველოში	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
საიდუმლო პოლიცია და რევოლუციური პარტიები საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე	2	2	2	2	2	2	2	2	2	2
საქართველო და მსოფლიოს ქვეყნები XVII-XVIII სს.-ში (1640-1789)	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
საქართველო და მსოფლიოს ქვეყნები XVIII-XX სს-ში (1789-1914 წწ.)	2	2	2	2	2	2	2	2	2	2

საქართველო და მსოფლიო XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
სამაგისტრო ნაშრომი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
პროფესიული პრაქტიკა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3

მითითება: 1-გაცნობა, 2-გაღრმავება, 3-განმტკიცება

დანართი 4

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6	პროგრამის სწავლის შედეგი 7	პროგრამის სწავლის შედეგი 8	პროგრამის სწავლის შედეგი 9	პროგრამის სწავლის შედეგი 10
	1.1	1.2	1.3	2.1	2.2	2.3	2.4	3.1	3.2	3.3
1 მიზანი	x	x	x	x	x			x		x
2 მიზანი	x	x	x	x	x	x		x	x	x
3 მიზანი	x	x	x	x	x	x	x	x		x

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები. შედეგები/კომპეტენციების მიხედვით

შედეგები	**სამიზნე ნიშნული**
1.1 ავლენს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში მომხდარი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სიღრმისეულ ცოდნას, ახდენს მათ ინტერპრეტაციასა და ანალიზს, გამოკვეთს მათ გავლენას თანამედროვეობაზე სხვადასხვა კონტექსტში სფეროს ტრადიციული მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით;	პროგრამის კურსდამთავრებულების არანაკლებ 70 % მონაწილეობს სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო/კვლევით აქტივობებში
1.2 ახასიათებს და კრიტიკულად აფასებს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის შესახებ არსებული სამეცნიერო მიდგომებისა და თეორიების ჩამოყალიბება/განვითარების ძირითად ეტაპებს, თავისებურებასა და დინამიკას;	კურსდამთავრებულების არანაკლებ 90 %-ის სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის 95% ორიენტირებულია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის აქტუალურ პრობლემატიკაზე და ინდივიდუალური კვლევის შედეგად შესაბამისი დასკვნების გაკეთებაზე
1.3 აცნობიერებს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის არაერთგვაროვანი გადმოცემის მიდგომებს, ისტორიის ფალსიფიკაციისა და იდეოლოგიური გავლენის ფაქტებს.	

2.1 საარქივო/საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენებით დამოუკიდებლად მოიძიებს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სხვადასხვა ისტორიულ (მათ შორის, ნაკლებადშესწავლილ/ახლადაღმოჩენილ) წყაროებში მოცემულ ინფორმაციას, ახდენს მათ სისტემატიზაციას და აყალიბებს საკუთარ დასკვნებს;	პროგრამის კურსდამთავრებულების არანაკლებ 95 %-ს მიერ შესაბამის სასწავლო კურსების ფარგლებში მომზადებული შემოქმედებითი ნაშრომების (პროექტის/პრეზენტაციის/რეფერატის/საშინაო დავალების/სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციის და სხვა) ხარისხი დაფუძნებულია პირველად ან/და მეორეულ ისტორიული წყაროების (საარქივო მასალები, სამეცნიერო შრომები და სხვა) ანალიტიკურ გააზრებაზე და საკვლევ თემატიკასთან მიმართებაში ინოვაციური დასკვნების გაკეთებაზე
2.2 გეგმავს და ახორციელებს კვლევას საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში დარგის შესაბამისი მეთოდებისა და დადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით;	კურსდამთავრებულების ნაშრომების თემატიკის 95% ორიენტირებულია შესაბამისი შედეგის პრობლემატიკაზე და მათში აქტუალური საკითხების გამოკვეთაზე. შედეგი მიღწეულია 95 %-ში. ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამებით შემოწმებული სამაგისტრო ნაშრომების ან სხვა შემოქმედებითი პროექტების არანაკლებ 95% აკმაყოფილებს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტს
2.3 წარმოადგენს კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით, როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე;	
2.4 პროფესიული საქმიანობის დროს ახდენს მშობლიურ და უცხოურ ენებზე კომუნიკაციას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.	კურსდამთავრებულების არანაკლებ 60% ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში ჩართულობისას დამოუკიდებლად მოიძიებს საჭირო რესურსებს (ისტორიულ წყაროებს, საარქივო მასალებს, სამეცნიერო შრომებს უცხოენოვან კვლევებს და სხვ.) და პარტნიორებს გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივით

3.1 საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სენსიტიური და წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვისას ეყრდნობა პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს;	კურსდამთავრებულების 95%-ის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსების ფარგლებში მომზადებული შემოქმედებითი ნაშრომების (პროექტის/პრეზენტაციის/რეფერატის/საშინაო დავალების/სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციის და სხვა) არანაკლებ 90%-ში ასახულია აღნიშნული შედეგისათვის დამახასიათებელი მიდგომები
3.2 გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, ახდენს ადაპტირებას მულტიდისციპლინურ სასწავლო თუ სამუშაო გარემოში, ავითარებს საკუთარ შესაძლებლობებს, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას;	კურსდამთავრებულთა არანაკლებ 95% -ი შემოქმედებითი ნაშრომებზე (პროექტის/პრეზენტაციის/რეფერატის/სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციის და სხვა) მუშაობისას ითვალისწინებს და იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპებს
3.3 საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის აქტუალური ინფორმაციის სინთეზირებითა და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით, წერს სამეცნიერო ნაშრომს და შეაქვს წვლილი დარგში არსებული ცოდნის განვითარებაში.	კურსდამთავრებულების სამაგისტრო ნაშრომების 95% ასახავს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემატიკას. გამოკვეთავს აქტუალურ ან/და ნაკლებადშესწავლილ/შეუსწავლელ საკითხებს. ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამებით შემოწმებული სამაგისტრო ნაშრომების ან სხვა შემოქმედებითი პროექტების არანაკლებ 95% აკმაყოფილებს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტს

სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება სასწავლო კურსებში და სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული საბაზისო ცოდნა, ისე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების სისტემა და მათი შედარება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიერ შემუშავებულ სტუდენტთა რანჟირების სკალის მონაცემებთან, მაგალითად, შედეგები ითვლება, რომ ნორმალურია თუ:
სტუდენტების რაოდენობა შეფასებით A არ აღემატება საერთო რაოდენობის 5%-ს;
მომდევნო შეფასებები ნაწილდება შემდეგნაირად: B-20%; C-15%; D-20%;

სტუდენტების რაოდენობა შეფასებით E არ აღემატება საერთო რაოდენობის 10%-ს; ანუ სტუდენტების უმრავლესობას საშუალო მოსწრება უნდა ჰქონდეს, ხოლო ძალიან მაღალი და დაბალი ქულები კი – სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10-10%-ს. შედარების შემდეგ დგინდება გადახრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიზეზები და შემუშავდება რეკომენდაციები.

სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები): იხ. დამატებით.

პროგრამის ხელმძღვანელების CV-ები: იხ. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

http://tesau.edu.ge/humanitarul-mecnierebata-fakulteti/akademiuri-personali